ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ, 18 ივნისი. (საკდესი). დღეს დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, ერაყის დელეგაციას — ერაყის ვიცე-პრეზიდენტი, რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ეროვნული და რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი სალეჰმაჰდი ამაში.

სალეჰმაჰდი ამაში მიესალმა საბჭოთა დელეგაციას არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობისა და ერაყის მთავრობის დავალებით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყი ესწრაფვის განამტკიცოს ყოველმხრივი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ). 1967-1968 წლებში პენტაგონის ექსპერტთა ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი თავდაცვის მინისტრის რ. მაკნამარას დავალებით მომამზადა ვრცელი მოხსენება ინდოჩინეთში ამერიკის პოლიტიკის შესახებ. ეს საიდუმლო მოხსენება ოთხი ათასი ფურცელი ოფიციალური დოკუმენტებისა და ამი ათასი ფურცელი ანალიზისაგან შედგება. მისი ავტორები, რასაკვირველია, არ მოელოდნენ, რომ ეს დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკელთა აგრესიის ფარულად მომზადებისა და გაჩაღების სურათს, ოდესმე საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ პენტაგონის მოხსენება ხელში ჩაუვარდა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციას და გაზეთმა მოასწრო დაებეჭდა მისი ნაწყვეტები სამ ნომერში, სანამ, მთავრობის პირდაპირი ზეგავლენით, ნიუ-იორკის ფედერალურმა სასამართლომ არ აკრძალა შემდგომი პუბლიკაცია.

„ნიუ-იორკ ტაიმსმა“ პუბლიკაცია დაიწყო იმ პერიოდის ასახვით, რომელიც წინ უძღოდა ეგრეთწოდებულ ინციდენტს ტონკინის ყურეში 1964 წლის აგვისტოში და ჯონსონის მთავრობის მიერ იმ გადაწყვეტილების მიღებას, რომ დაეწყოთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მასირებული საჰაერო დაბომბვა. როგორც ცნობილია, იმის საბაბად, რომ დაეწყოთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მიეღო „ტონკინის რეზოლუცია“, რომელმაც პრეზიდენტს ხელი გაუხსნა შეიარაღებული ინტერვენციის „ესკალაციის“ საქმეში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოიყენა ამერიკის სარდლობის მიერ მოგონილი „თავდასხმა“ ორ ამერიკულ საესკადრო ნაღმოსანზე ტონკინის ყურეში. „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული დოკუმენტები უცილობლად ცსადყოფენ, რომ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმისა და სამხრეთ ვიეტნამში ინტერვენტთა საექსპედიციო არმიის გადაყვანის გეგმები ვაშინგტონმა ტონკინის ყურეში მომხდარ ინციდენტამდე დიდი ხნით ადრე შეიმუშავა.

ჯონსონის მთავრობამ, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, გააძლიერა ფარული ომი ვიეტნამის წინააღმდეგ და დაიწყო ამკარა ომის დაგეგმვა 1964 წლის გაზაფხულზე, ესე იგი მთელი ერთი წლით ადრე, ვიდრე საჯაროდ გამოაცხადებდა თავისი ჩარევის ნამდვილ მასშტაბს. „დოკუმენტები არაორაზროვნად გვიჩვენებენ,— დასასკვნის გაზეთი, — რომ ეს შორს გამიზნული ღონისძიებანი სრულიადაც არ ყოფილა ტონკინის კრიზისის გამო წარმოქმნილი იმპროვიზაციის პროდუქტი“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიერ გამოქვეყნებული პირველი დოკუმენტი სამახსოვრო ბარათია, რომელიც მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ წარუდგინა პრეზიდენტ ჯონსონს 1963 წლის 21 დეკემბერს. მაკნამარა შეშფოთებას გამოთქვამს სამხრეთ ვიეტნამში მარიონეტული პრომარეგიკული ხრეშის მერყეული მდგომარეობის გამო. „ასეთი მდგომარეობა დიდად დამაფიქრებელია, — წერს იგი. — ახლანდელი ტენდენციები, თუ უახლოეს ორ-სამ თვეში არ მოვუღეთ ბოლო, სამხრეთ ვიეტნამის ნეიტრალიზაციას გამოიწვევენ. ჩვენ ძალიან ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალ-ყური მოვლენათა განვითარებას, მოვემზადოთ უფრო ქმედით ღონისძიებათა განსახორციელებლად, თუ უახლოეს ხანში არ გაჩნდება ვითარების გაჯანსაღების ნიშნები“.

შემდეგი დოკუმენტი, რომელიც „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა, არის გენერალ ტეილორის 1964 წლის 22 ივნისის სამახსოვრო ბარათი თავდაცვის მინისტრ მაკნამარასადმი. ამ სამახსოვრო ბარათში არაორაზროვნად აღნიშნულია, რომ ვაშინგტონის ოფიციალური მიზანია მოიპოვოს „სამხედრო გამარჯვება ვიეტნამში“, ესე იგი მოახდინოს სამხედრო ჩარევა ვიეტნამელი ხალხის საქმეებში.

გენერალ ტეილორის ბარათის დასაწყისში ნათქვამია: შტაბების უფროსთა კომიტეტი აზრს გამოთქვამს, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად შეერთებულმა შტატებმა ხელი უნდა აიღოს ბევრ მიღებულ შეზღუდვაზე, და განახორციელოს ღონისძიებანი, „რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს დიდ რისკთან“.

როგა მოუწოდებდა ვაშინგტონს განეხორციელებინა აგრესიული პოლიტიკა, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე პეკინის გამთიშველურ პოლიტიკაში ხედავდა მისი თვალსაზრისით ხელსაყრელ ფაქტორს. იგი წერდა: „თვალსაზრისის გადასინჯვა და უფრო ენერგიული პროგრამის მიღება მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ჩვენს უნარს — კონტროლი გაგუწიოთ მომავალი ესკალაციის დინებს. მოსალოდნელია, რომ კომუნისტური ჩინეთის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის წარმატებებანი, პლუს ახლანდელი განხეთქილება რუსეთთან, ეტყობა, აიძულებენ კომუნისტებს ორჯერ დაფიქრდნენ, ვიდრე გადაწყვეტენ მოამზადონონ რამდენადმე ფართო სამხედრო გამოსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“.

ტეილორი აყენებდა მთელ რიგ ღონისძიებებს ომის შემდგომი ესკალაციისათვის, იგი, კერძოდ, წერდა: „საჭიროა ფართო სადესანტო-სადივერსიო ოპერაციების განხორციელება უმნიშვნელოვანესი ობიექტების წინააღმდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. სპეციალურ თავდასხმები ჩრდილოეთ ვიეტნამის ძირითად ობიექტებზე, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ შეერთებული შტატების რესურსები სამხრეთ-ვიეტნამის დახმარების ნიღბით... საჭიროების შემთხვევაში გავგზავნოთ შეერთებული შტატების დამატებითი ნაწილები და ქვეგანაყოფები სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მხარდასაჭერად. საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ შეერთებული შტატების ნაწილები და ქვეგანაყოფები ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ პირდაპირ საომარ მოქმედებაში მონაწილეობისათვის“.

პრეზიდენტ ჯონსონის სახელზე 1964 წლის 16 მარტს გაგზავნილ სამახსოვრო ბარათში თავდაცვის მინისტრი მაკნამარა წინადადებას აყენებს, რომ შეერთებულმა შტატებმა „დაუყოვნებლივ დაიწყოს მზადება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა 72 საათში შედგომოდა ლაოსისა და კამბოჯის საზღვრებისადმი კონტროლის დაწესებისათვის საჭირო ყველა ღონისძიების განხორციელებას“, „განეხორციელებინა ღონისძიებანი“ ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ და 30 დღის განმავლობაში დაეწყო ვიეტნამელი ხალხის საქმეებში.

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ მიჩვეული არიან პოლიტიკურ სკანდალებს. მაგრამ სკანდალიც არის და სკანდალიც. ამჯერად მან ყოველ დასაშვებ საზღვარს გადააჭარბა და შვიდბალიან მაწილაძრას უფრო ჰგავდა. პირველ ხანებში ოფიციალური ვაშინგტონი ხმას ვერ იღებდა — შოკში იყო.

საქმე ის არის, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაბეჭდა პირველი სტატია სერიიდან, რომელიც ეხება შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში და ეყრდნობა პენტაგონის სრულიად საიდუმლო მოხსენებას, რაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის მაკნამარას პირადი მითითებით იქნა შედგენილი.

როგორ მოხდა ეს საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც, როგორც ამბობენ, 40 ტომს შეიცავს და ცხრაკლიტულში ინახებოდა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ განკარგულებაში და რატომ დაიწყო მათი პუბლიკაცია გაზეთმა, ეს სარედაქციო საიდუმლოებაა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტები არსებობს და მათი სინამდვილე ოფიციალურ წრეებსა და მათ შორის თავდაცვის მინისტრს ლეირდს არ უარუყვიათ, ბევრს ნიშნავს.

დოკუმენტები შეიცავენ მრავალ სენსაციურ ცნობას, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბოლომდეა მხილებული ვიეტნამში ამერიკის სამხედრო ესკალაციის ნამდვილი მიზეზი და მეთოდები. გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან (იხილეთ ამავე გვერდზე მასალა — „პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები“ — **რედ.**) სავსებით ნათლად ჩანს, რომ 1964 წლის აგვისტოში ტონკინის ყურეში თვით ამერიკელთა მიერ პროვოცირებული ინციდენტი წინასწარ იყო მომზადებული ჯონსონის მთავრობის მიერ. უფრო მეტიც — დემოკრატთა ადმინისტრაცია სამხედრო აქციებს ისე გეგმავდა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნებისმიერი საპასუხო აქტი საშუალებას აძლევდა თეთრ სახლს მოეხდინა ომის ესკალაცია.

რა იღონეს რესპუბლიკელებმა? ჯერ გაჩუმდნენ. ისინი ხომ აქ არაფერ შუაში არიან, მოხსენება მომზადებული იყო მანამდე, სანამ ისინი ჩადგებოდნენ ხელისუფლების სათავეში. შემდეგ თავდაცვის მინისტრმა ლეირდმა მოსთხოვა იუსტიციის მინისტრს მიტჩელს დაიწყონ ამის გამოძიება, თუ როგორ მოხდა სრულიად საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც „ეროვნული უშიშროების“ საკითხებს ეხება „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

მიტჩელმა მოსთხოვა რედაქციას შეეწყვიტა სტატიების პუბლიკაცია. ფედერალურმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება და „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ სამი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შეაჩერა მასალების პუბლიკაცია.

გაზეთის რედაქციამ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ იგი დაიმორჩილება სასამართლოს გადაწყვეტილებას და მანამდე წყვეტს სტატიების ბეჭდვას. მაგრამ ფიქრობს, რომ ხალხმა უნდა იცოდეს სინამდვილე.

გაზეთის საშინაო საქმეებში ვაშინგტონის ჩარევამ აღფოთება გამოიწვია. სარედაქციო სტატიაში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამ ამბავს „ცენზურის სრულიად უპრეცედენტო მაგალითს“ უწოდებს. გაზეთის მიმომხილველი ჯეიმს რესტონი კი წერს: „ქვეყნის ისტორიაში პირველად არის, რომ იუსტიციის მინისტრი ცდილობს აკრძალოს პობლიკაცია დოკუმენტებისა, რომლებიც გამოცხადებული არ ყოფილა და რომლებიც მას არასდეს არ წაუკითხავს“.

სკანდალი სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს და ამერიკის პრესიდან მსოფლიოს პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა. სენსაციის მთავარი მონაწილენი — ყოფილი პრეზიდენტი ჯონსონი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, ყოფილი სახელმწიფო მდივანი რასკი არავითარ პასუხს არ აძლევენ კორესპონდენტებს.

საბოლოოდ გაიტანს თავისას იუსტიციის მინისტრი თუ ვერა, მალე გამოიკვეცება. მაგრამ ეს არაფერს არ შეცვლის, რადგან სინამდვილე უკვე გამოტანილია სამსჯავროზე.

ერთიც შეიძლება დავძინოთ: ავი ენები ამბობენ, ამ მხილებაში ხელი რესპუბლიკელებს ურევიათო. ესეც მოსალოდნელია. 1972 წლის პრეზიდენტის არჩევნები კარზეა მომდგარი, და რესპუბლიკელები ყველა ხერხს მიმართავენ, რომ ჩირქი მოსცხონ დემოკრატებს. ასეთი მეთოდები ჩვეულია ამერიკის პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ამერიკა-საიგონის ჯარებს. ინტერვენტებმა დიდი ზარალი ნახეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეომრები შეტევის წინ.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲘᲐ-ᲡᲐᲙᲫᲔᲡᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲑᲝᲠᲫᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ მიჩვეული არიან პოლიტიკურ სკანდალებს. მაგრამ სკანდალიც არის და სკანდალიც. ამჯერად მან ყოველ დასაშვებ საზღვარს გადააჭარბა და შვიდბალიან მაწილაძრას უფრო ჰგავდა. პირველ ხანებში ოფიციალური ვაშინგტონი ხმას ვერ იღებდა — შოკში იყო.

საქმე ის არის, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაბეჭდა პირველი სტატია სერიიდან, რომელიც ეხება შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში და ეყრდნობა პენტაგონის სრულიად საიდუმლო მოხსენებას, რაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის მაკნამარას პირადი მითითებით იქნა შედგენილი.

როგორ მოხდა ეს საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც, როგორც ამბობენ, 40 ტომს შეიცავს და ცხრაკლიტულში ინახებოდა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ განკარგულებაში და რატომ დაიწყო მათი პუბლიკაცია გაზეთმა, ეს სარედაქციო საიდუმლოებაა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტები არსებობს და მათი სინამდვილე ოფიციალურ წრეებსა და მათ შორის თავდაცვის მინისტრს ლეირდს არ უარუყვიათ, ბევრს ნიშნავს.

დოკუმენტები შეიცავენ მრავალ სენსაციურ ცნობას, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბოლომდეა მხილებული ვიეტნამში ამერიკის სამხედრო ესკალაციის ნამდვილი მი

მებრძოლი სიტყვით

დავით კვიცარიძის დაბადების 50 წლისთავის გამო

დავით კვიცარიძე ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ომის პირველ დღეებშივე ჩაება ულმობელ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

რუსეთის ვრცელ ტრამალებში, ჩაქცეულ სანგრებში თუ უსიერ ტყეებში, პარტიზანულ კოცონებთან გამოიწრთო მისი ყმაწვილკაცური მეოცნებე სული, ჩამოყალიბდა მისი რწმენა, მწერლური აღღო და მისწრაფება, გაიზარდა და გაღრმავდა სამშობლოს დაცვისა და მისთვის თავგანწირვის მოვალეობის გრძნობა.

დ. კვიცარიძე ორ წელზე მეტი იბრძოდა ბელორუსიაში მოქმედ პარტიზანულ შენაერთებში, თვითონ იყო ერთ-ერთი რაზმის მეთაური, სრულიად ახალგაზრდამ მოიპოვა ბელორუსი ხალხის სიყვარული, პარტიზანთა ხელმძღვანელების მადლობა და მთავრობის ჯილდოები.

ომიდან ერთადერთი „განძი“ — გაყვითლებული და გაცრეცილი უბის წიგნაკი ჩამოაყვა ჩანაწერებით. ამ წიგნაკს დღესაც სასოებით უყრის, რადგან შიგ ჩაწერილი საბრძოლო ეპიზოდები, დაღუპულ გმირთა სახელები, იატაკქვეშელთა საგმირო საქმეები მისთვის დღესაც ცოცხლობენ და ასაზრდოებენ მას როგორც მწერალსა და ადამიანს.

დაით კვიცარიძის ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები ომგადახდილ ადამიანებზე ხშირად იბეჭდება ომისშემდგომ პრესაში.

პირველი მისი წიგნი „ორდიშვილის ტყეში“ — პარტიზანის ჩანაწერები 1954 წელს გამოვიდა თბილისში. წიგნმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, იგი ითარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზეც.

„ორდიშვილის ტყეს“ მოჰყვა ისევ ომის თემაზე დაწერილი მოთხრობების კრებული „კოცონი“, ლექსების წიგნი „გზა,“ ისევ მოთხრობების კრებული, რომანები „სადა ხარ, მარინ“ და „ნდობა“, მოთხრობა „მუზარადი“ და სხვ.

საყოველთაო მოწონება ხვდათ დავით კვიცარიძის ომის თემაზე დაწერილ ისეთ მოთხრობებს, როგორიც არის „წუთისოფელი“, „ჩაქცეული მიწური“, „ანია ბელკოვსკაია“, „მათარა“, „არყის ხე“, „ის ერთი გასროლა“, „ერთხელ ღამით“, „გაზაფხული“, „ბარათი“, „დედა“ და სხვ.

1959 წელს ჟურნალ „ნთათობში“ გამოქვეყნდა მწერლის პირველი რომანი „სადა ხარ, მარინ“. ამ რომანში დ. კვიცარიძე შეეცადა ქართველი მეითხველისათვის გაეცნო ავტომშვებელთა ცხოვრება, მათი თავდადება ახალი საამაყო საქმისათვის, პირველი ქართული ავტომობილის ქუთაისში დაბადებისათვის.

და მაინც რომანში მოქმედ გმირთა შორის უპირველესი, უმამაცესი და უკეთილშობილესი ომგამოვლილი ადამიანები არიან.

ვფიქრობ მკითხველებს არ დავიწყებიათ გიორგი ლომიძე და თამარა როდიონოვა, მათი სვედიანი რომანი, მათი უიღბლო სიყვარული და კანონზომიერი დაშორიშორება. ეს რომანი რუსულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“.

მწერლის დაოსტატებაზე მეტყველებს მისი მეორე ვრცელი რომანი „ნდობა“, რომელშიც ასევე სიყვარულით, უკვე გარკვეული ოსტატობით არის აღწერილი ხიდის მშენებელთა დაუღალავი შრომა, ამ მშენებლობაში ახალგაზრდა თაობის მონაწილეობა.

რომანი „ნდობა“ რუსულ ენაზე თარგმნა ცნობილმა რუსმა მწერალმა ოლეგ ვოლკოვმა. იგი მიმდინარე წელს გამოქვეყნდება ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“, ხოლო ცალკე წიგნად მკითხველებს გამომცემლობა „მერანი“ მიაწვდის.

დ. კვიცარიძეს გარკვეული წარმატებები აქვს ლიტერატურის ისეთ ჟანრში, როგორიც არის დრამატურგია. მისი პიესები: „თოვლიან ღამეს“, „მამის კვალზე“, „გამარჯობა, ჩემო ქალაქო“ და „როცა სიცოცხლე გეძახის“ წარმატებით იდგმებოდა და იდგმება ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და რესპუბლიკის სხვა თეატრების სცენებზე.

პიესამ „როცა სიცოცხლე გეძახის“ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ჯილდოც დაიმსახურა.

ახლახან დ. კვიცარიძემ ქუთაისის თეატრს ჩაბარა ახალი პიესა „ადამიანები და ბილიკები“, რომლის განხორციელება განზრახულია მომავალ სეზონში.

1970 წლის იანვრიდან 1971 წლის მარტამდე ჟურნალ „ნთათობში“ იბეჭდებოდა მწერლის დიდი რომანი „მშვიდობით, „უსიერო ტყეებო“.

ამ რომანს მტკიცეე საფუძვლად პარტიზანული ბრძოლები, ქართველი, რუსი, ბელორუსი და უკრაინელი ვაჟკაცების მძიმე პარტიზანული ცხოვრება უდევს.

რომანის პერსონაჟები, იატაკქვეშა რაიონული კომიტეტის მდივანი, შემდგომ პარტიზანული ბრიგადის კომისარი ადამ სტელმახი, ბრიგადის მეთაური ვასილ ბოიკო, ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის ლეგენდარული გმირი კონსტანტინე ზასლონოვი, საშა, ვასო თორაძე, კოტე ქორეოლიანი, ფეიდია კომლევი, მიშა ლიზუნოვი, ალიოშა ტარანენკო და სხვები გვაღელვებენ თავიანთი უშიშარი, უმამაცესი ხასიათით, მტერთან შეურიგებლობითა და სიმკაცრით.

კითხულობთ რომანს, და თქვენს თვალწინ იზრდებიან მისი პირველი გმირები საშა და ანტონ სუხოდოლსკი, იზრდებიან, კაცდებიან და თანდათან, როგორც ეს ვრცელი ნაწარმოების წესია, ვაჟკაცებენ თავს.

რომანს 1972 წელს გამოსცემს „საბჭოთა საქართველო“. იგი ითარგმნება რუსულად (მთარგმნელი გალინა მინდაძე) და შეტანილია მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ გეგმაში.

დავით კვიცარიძე 1957 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებას. იგი არის პარტიზანთა საქალაქო სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრი და საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატი.

ახლახან დაასრულა კიდევ ერთი რომანი „კოცონი არ ქრება“. ამ რომანში აღწერილია ყოფილ პარტიზანთა ცხოვრება. ოღონდ არა ბრძოლებში, არა უსიერ ტყეებში, არამედ დღეს, მშვიდობიან მშენებლობაში.

ორმოცდაათი წლის მწერალი ჯერ ჯანგაუტეხელია და შემოქმედების წყურვილით არის აღსავსე. მისგან ბევრს მოელის ჩვენი მკითხველი. ნუმც გაგვმტყუნებოდეს მოლოდინი.

გივი მეფისაშვილი.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

● ახალციხე. საძელელებს ესტუმრნენ ახალციხელი მოსწავლეები. სასოფლო კლუბში გაიმართა მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც ქართველი და სომეხი ხალხის დიად ისტორიულ ძმობაზე მოხსენებით გამოვიდა საძელის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ა. პოღოსიანი.

სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლეები დ. ნასყიდაშვილი, ც. მაგზარაშვილი, ჰ. სოგომონიანი, მასწავლებელი გ. ნოკოშვილი და სხვები.

ახალციხის ქართული საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა შ. ზედგინიძემ სამახსოვრო საჩუქარი გადასცა მასპინძლებს. პოეტმა ი. ნებაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი „ოვანეს თუმანიანი და აკაკი წერეთელი“.

შ. მესხი.

● ჰიათურა. ნიგოზეთის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ახლახან მოაწყეს სასწავლო ექსკურსია საგურამოში, მცხეთასა და გორში.

ექსკურსანტები დიდი ინტერესით გაეცნენ ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს საგურამოში, მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს გორში. ისინი დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

დ. ბურჯანაძე.

ზახარაძის რაიონის სოფელ მთისპირის კოლმეურნეობის პლანტაციები გადაჭიმულია მწვანე გორაკებზე. ჩაი სუბტროპიკული მეურნეობის მთავარი სიმდიდრეა. მას აქ 180 ჰექტარი უჭირავს. მეჩაიეებმა მაის-ივნისის დავალება უკვე შეასრულეს და სახელმწიფოს 500 ტონა „მწვანე ოქრო“ ჩააბარეს იმ ათასი ტონის ანგარიშში, რაც მიმდინარე წელს უნდა მოკრიფონ.

კოლმეურნეობის აგტმხატვრული ბრიგადის წევრები ხშირი სტუმრები არიან ჩაის პლანტაციებისა. შესვენებებზე ან საღამოთი, როდესაც მთავრდება სამუშაო დღე, თვითმოქმედი მსახიობები იცვლიან ტანსაცმელს და გამოდიან თანასოფლელთა წინაშე კონცერტებით.

აი ახლაც, მეჩონგურეთა ანსამბლი პლანტაციებში მე-8 ბრიგადის წინაშე კონცერტით გამოდის.

ფოტო გ. გერსამიასი და ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ყურადღების ცენტრშია გული

გუშინ, 18 ივნისს, თბილისში მუშაობა დაამთავრა მოსკოველთა ინფარქტის საკითხებისადმი მიძღვნილმა კოლოკვიუმმა, რომელიც მოაწყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტმა. კოლოკვიუმის მუშაობაში საბჭოთა კავშირის ცნობილი კარდიოლოგების გარდა მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნების წამყვანმა სპეციალისტებმა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა თერაპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში პროფესორ ირაკლი ჭუმბურიძეს და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო, რა ძირითადი საკითხები იქნა განხილული კოლოკვიუმზე, როგორია ქართველ მეცნიერთა მიღწევები გულის ინფარქტის კვლევის საქმეში. ვხეჭდავთ მის საუბარს:

— გულის კუნთის ინფარქტი თანამედროვე ცივილიზებული კაცობრობისათვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებას წარმოადგენს, — აღნიშნა პროფესორმა ი. ჭუმბურიძემ, — ეს დაავადება უფრო გავრცელებულია, ვიდრე კიბო, აღსანიშნავია, რომ მიოკარდიუმის ინფარქტი ვითარდება ისეთ ასაკში, როდესაც ადამიანი თავისი შემოქმედებითი ძალების ყველაზე პროდუქტიულ ხანაში იმყოფება (44-45 წლები). ამ ბოლო დროს შესამჩნევი გახდა დაავადების შედარებით ახალგაზრდა ასაკში განვითარება (25-35 წლები). ამიტომაც არის, რომ გულის კუნთის ინფარქტის პრობლემა სამართლიანად იპყრობს მედიცინის ამ დარგში მომუშავე ყველა სპეციალისტის ყურადღებას. ყოველწლიურად უფრო ცხადი ხდება, რომ ასეთ მძიმე დაავადებასთან ბრძოლა საჭიროებს ამ დარგში მომუშავე მსოფლიოს ყველა მედიკოსთა დაახლოებას, კვლევითი მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ახალ სადიაგნოსტიკო, სამკურნალო საშუალებათა ძიებას, მათს სრულყოფას, რაც საბოლოოდ საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ დაავადებით გამოწვეული მძიმე შედეგები.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული მიღწევებია მოპოვებული გულის კუნთის ინფარქტის დიაგნოსტიკის და დაავადების გართულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი ინფარქტის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრის მუშაობა. ინსტიტუტში ფართოდ ინერგება ახალი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებები. უკანასკნელ წლებში მიღებული შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ინფარქტით გამოწვეული გართულებანი და ავადმყოფთა სიკვდილიანობის პროცენტი მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფარქტის შემდგომი „ რეაბილიტაციური ღონისძიებების ფართოდ გამოყენებას. ამ მიზნით ინსტიტუტში შექმნილია რეაბილიტაციის განყოფილება, სადაც იყენებენ მკურნალობის ისეთ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, რაც შეიძლება მოკლე დროში აღვადგინოთ ავადმყოფის შრომისუნარიანობა.

კოლოკვიუმზე მოსმენილ იქნა გულის კუნთის ინფარქტის კლინიკის, მკურნალობის და ავადმყოფობის რეაბილიტაციის საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები. მოხსენებების შემდეგ გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება.

კოლოკვიუმის პირველ სხდომაზე სპეციალური სადისკუსიო ხასიათის მოხსენებით გამოვიდა სიმპოზიუმის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნ. ყიფშიძე. მოხსენებები წაიკითხეს საკავშირო სამედიცინო აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. ლუკომსკიმ (მოსკოვი), პროფესორებმა ლ. მალაიამ (ხარკოვი), ზ. იანუშკევიჩუსმა (კაუნასი), ბ. ილინსკიმ (ლენინგრადი), პ. ეფერენვმა (მოსკოვი), მ. ტუმანოვსკიმ (ვორონეჟი), ლ. ფოგელსონმა (მოსკოვი), ზ. დოლაბჩიანმა (ერევანი) და სხვებმა.

უცხოელებიდან კოლოკვიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარეს პროფესორებმა შ. გერმ (უნგრეთი), ზ. ასკანასიმ (პოლონეთი), ი. შმიდტ-ფოგტმა და ნიციმ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), გუნტერმა და ბარტიმ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

აღსანიშნავია, რომ პირველად საბჭოთა კავშირში კოლოკვიუმმა განიხილა ინფარქტის გადატანის შემდგომ გულის კუნთის რეგენერაციის საკითხი. სადღეისოდ გულის კუნთის დაზიანების შემდეგ მისი სრული ანატომიური და ფუნქციური აღდგენის შესახებ მსჯელობა შემთხვევითი არ არის, რადგან ამჟამად ამ მიმართულებით ინტენსიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს და მეცნიერთა შორის ჯერჯერობით აზრთა სხვადასხვაობაა. ამ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდა ჩვენი ინსტიტუტის ინფარქტის პათოფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი პროფესორი თ. დეკანოსიძე და მოსკოვიდან პროფესორი ლ. პოლეეტაევი.

აღსანიშნავია, რომ კოლოკვიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქალაქის წამყვანმა სპეციალისტებმა, პროფესორებმა ს. კობალაძემ, გ. წითლანაძემ, გ. ბახტაძემ, ვ. ალადაშვილმა, გ. ცინცაძემ, მეცნიერი თანამშრომლებმა მ. მაისურაძემ, ნ. ანდრიაძემ და სხვებმა.

ეჭვი არ არის, რომ კოლოკვიუმის ნაყოფიერი მუშაობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გულის კუნთის ინფარქტის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მოსკოვში დამთავრდა საერთამორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთა-თვის. წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მოსკოველი ალა კუშნირი, რომელმაც 13-დან 10 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე და მესამე ადგილი რვანახევარ-რვანახევარი ქულით გაიყვეს ტ. ლემაჩკომ და ჩეხოსლოვაკიელმა საერთაშორისო ოსტატმა კ. ერეტოვამ.

საჭადრაკო ტურნირები

გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები ჭადრაკში ვაკთათვის. ნოვოსიბირსკის ნახევარფინალში, რომელშიც ახლახან აიღო სტარტი, საქართველოდან გამოდიან გროსმაისტერი ე. გუფელდი და ოსტატობის კანდიდატი მ. არჩვაძე. დაუკავალისის ნახევარფინალურ ტურნირზე გათამაშდა 12 ტური, აქ ლიდერობას 9,5 ქულით ინარჩუნებს ლენინგრადელი გროსმაისტერი ა. კარპოვი, თბილისელი საეთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილი უჭირავს. ლიდერთა ჯგუფში არიან ავრეთვე გროსმაისტერები ს. ფურმანი (ლენინგრადი) და ა. გიასლიანი (რიგა). თბილისელ ოსტატს ე. უბილავას 5,5 ქულა აქვს.

პიანგუში მიმდინარეობს საჭადრაკო ტურნირი ამ ქალაქის საჭადრაკო კლუბის 75 წლისთავის აღსანიშნავად. გათამაშდა ექვსი ტური. ლიდერები არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი და გროსმაისტერი ა. კერესი, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

ფეხბურთის მოედნებზე

სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს როტერდამში ხაპასუხო მატჩი ჰქონდა ჰოლანდიის გუნდთან და შეხვედრა ფრედ — 0:0 დაამთავრა. საბჭოთა ფეხბურთელები 3 ქულით შესარჩევი ტურნირის მეორე წრეში გავიდნენ. მეორე შესვენების შემდეგ უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებმა განაახლეს ბრძოლა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. გუშინ მოსკოვში ცსკა-სა და ლოკომოტივ „კრასნოპრესნენსკაია“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში. ქუთაისის ტორპედოელები თამაშობდნენ ასტრახანში „ვოლგარის“ წინააღმდეგ და შეხვედრა ფრედ — 1:1 დაამთავრეს.

პარიზში გაიმართა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ საფრანგეთისა და ისლანდიის გუნდები. წარმატება მასპინძლებს ხვდათ 1:0.

ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ჯგუფში ლიდერი გახდა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც მორიგ მატჩში დამარცხა ფინეთის გუნდი 4:0. ჩეხოსლოვაკიელებს 8-დან 7 ქულა აქვთ.

მხოლოდ მეორე წრეშია

დევისის თასზე სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩში მიღებულმა ტრავმამ ჩაუნ სეროზული გავლენა იქონია სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონის ა. მეტრეველის შემდგომ თამაშებზე. ჩვენი თანამემამულე ლონდონში „კუინს კლუბის“ პირველობაზე ერთეულთა ასპარეზობის მეორე წრეში გამოეთიშა საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებს. მან წააგო ორთაბრძოლა ბალახიან კორტზე ნაკლებად ცნობილ ჩოგბურთელთან ამერიკელ ტ. გორმანთან 6:2, 3:6, 6:8.

ტურნირის აღმოჩენას წარმოადგენს 16 წლის ლონდონელი მოსწავლე კ. მოტრამი. მისი გამარჯვება ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს ჩოგბურთელთან ი. კოდეშთან სენსაციად ჩათვალეს. მაგრამ ამ ჭაბუკმა შემდეგშიც დამტკიცა, რომ მისი გამარჯვება სტარტზე შემთხვევითი არ იყო. მორიგ შეხვედრაში კ. მოტრამმა სძლია უომბლდონის ტურნირის ექს-ჩემპიონს ამერიკელ პროფესიონალს ფ. სეჯმენს 8:6, 4:6, 6:4.

რამდენიმე სტრიქონით

● მადრიდში ფინიში აქვს ევროპის ჩემპიონატს კრივში. საბჭოთა სპორტსმენებიდან ფინალში გავიდნენ ა. მელნიკოვი, ვ. ტრეგუბოვი, ი. იუოცავიჩუსი და ვ. ჩერნეშევი.

● გუშინ თბილისის ტრეკზე დაიწყო კუბისა და საქართველოს ველოსიპედოსტა შეხვედრები. პირველ დღეს შეიდა ასპარეზობები გიტში, სპრინტერულ და ოთხ კილომეტრზე რბოლაში.

● იტალიის ქალაქ ბოლცანოში დამთავრდა ევროპის მესამე გუნდური ჩემპიონატი ასუჯრედიან შაში. წარმატებით გამოვიდა საბჭოთა გუნდი, რომელმაც 16-დან 16 ქულა შეაგროვა და ისევე, როგორც 1967 და 1969 წლებში პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გროსმაისტერები ა. ანდრეიკო (რიგა), ი. კუპერმანი (კიევი) და ა. განტვარგი (მინსკი).

● სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელთა სია. ვაუებიდან 25 უძლიერესნი საქართველოდან შეავიდნენ ზ. საკანდელიძე, მ. ქორქია (ორივე თბილისის „დინამოდან“) და ლ. ჩხიკვაძე (თბილისის „ბურევესტნიკი“).

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი. ჭავჭავაძის პრს. № 1, № 107 აუდიტორია).

30 ივნისს ღიის 2 საათზე **ვასილ უფლისას-ძე კობალიანი** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ეიცავს დისერტაციის თემაზე **„საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა (X ს. 70-იანი, XII ს. 20-იანი წწ.).**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი

1971-72 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას საესტრადო განყოფილებაზე ესტრადისა და ცირკის მსახიობის სპეციალობით

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 25 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ საშუალო ან არასრული საშუალო განათლება.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: 1. ესტრადის მსახიობის განხრით — სასცენო მეტყველება (ლექსი, იგავ-არაკი, იუმორისტული მოთხრობა, საესტრადო სიმღერები (საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები). რიტმულობა — (ქართული, სახასიათო და თანამედროვე ცეკვების ზოგადი ცოდნა). საესტრადო ინსტრუმენტების დაკვრის ზოგადი ცოდნა. 2. **ცირკის მსახიობის განხრით** — აკრობატიკის, ეკვილიბრის, ილუზიის, ჟონგლიორობის ელემენტარული ცოდნა.

ორივე განხრაზე შემსვლელები აბარებენ გამოცდას — 8 კლასდამთავრებულნი: სპეციალობაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი) საშუალო დამთავრებულნი: — სპეციალობაში, ქართულ წერასა და სსრკ ისტორიაში. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი. სწავლება ქართულ ენაზე. სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით — საერთო წესის მიხედვით. განცხადება მიიღება 1971 წლის 10 ივლისამდე. კლარა ცეტკინის ქ. № 200, ტელ. 95-70-82 და 95-30-69.

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 ივლისს. კონსულტაციები დაიწყება 5 ივლისს 10 ივლისამდე დილის 10-დან 2 საათამდე. სასწავლებელში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ოჭროს, ვერცხლის მედალოსნები და ისინი, ვინც 8 კლასი დაამთავრა ქების სიგელით.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 286), 3. 4 ფოტოსურათი (3X4), 4. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის დირექცია.

ცეკავშირის ქუთაისის კოოპერაციული ვაჭრობის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების საძონლო მცოდნეობის, ვაჭრობის — ეკონომიკა-დაგეგმვის, საგულალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე

ტექნიკუმი ამზადებს სასურსათო საძონლის საძონელმცოდნეებს, სამრეწველო საძონლის საძონელმცოდნეებს, მეგეგმავ-ეკონომისტებსა და ბუღალტრებს სამოხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის.

ტექნიკუმის დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ორივე განყოფილების პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედი ან რვაწლედი) კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

1. ქართულ ენაში (კარნახი);
2. მათემატიკაში (ზეპირი).

დასწრებული განყოფილების მეორე და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე სამრეწველო საძონლის საძონელმცოდნეობისა და ვაჭრობის ორგანიზაციის, სასურსათო საძონლის საძონელმცოდნეობისა და ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-მოხსენება);
2. ქიმიაში (ზეპირი).

დასწრებული განყოფილების მეორე და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე, ბუღალტერული აღრიცხვისა და ვაჭრობის ეკონომიკა-დაგეგმვის სპეციალობებზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-მოხსენება);
2. მათემატიკაში (ზეპირი).

მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნის მიღებისას კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: ის პირნი, რომლებიც ტექნიკუმში მივლინებულ იქნებიან სამხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ, სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟის მქონენი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღაო ფლოტიდან დემობილიზებულნი. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) აბიტურიენტები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ქების სიგელით (ფრაადოსნები), ან საშუალო სკოლა — მედლით, ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, ზემსახურები, რომლებიც დათხოვნილი არიან სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან დემობილიზაციის გამო (დემობილიზაციიდან ორი წლის განმავლობაში).

განცხადებები მიიღება ა. წ. 1 ივლისიდან 31 ივლისამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს დასწრებულ განყოფილებაზე 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, დაუსწრებელზე — 11 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე კრიტული სპეციალობის მიხედვით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 286), 4. სამი ფოტოსურათი (3X4), დამოწმებული, 5. სამხმარებლო კოოპერაციის მიერ მივლინების ფურცელი დასწრებულთათვის — დანართი № 1, ხოლო დაუსწრებელთათვის — დანართი № 2, 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელის მიერ (დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის), 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8. დაბადების მოწმობა.

დასწრებულ განყოფილებაზე შემსვლელები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟი, ვალდებული არიან განცხადების შემოტანისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნენი — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გაგეობის მიერ. ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებისას უნდა წარმოადგინონ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტექნიკუმში საბუთების შემოტანისას აბიტურიენტები პირადად წარმოადგენენ დამადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას.

დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და ბინის ქირით საერთო წესის თანახმად.

სწავლის ხანგრძლივობა დასწრებული განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის სამი წელი, დაუსწრებელი განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის — ოთხი წელი, დასწრებული განყოფილების მეორე კურსსა და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე ჩარიცხულთათვის — ორი წელი.

მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ქუთაისი, გორის ქ. № 140, ტელეფონი 5-44-49.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

19 ივნისი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 12.15 — ლექცია ფიზიკაში, 13.00 — მართვის ავტომატიზებული სისტემა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — მხატვრული ფილმი — „მოდი, ჩვენთან მოდი“, 14.45 — საესტრადო პანორამა, 15.15 — კინონარკვევი, 15.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ცისარტყელა“, 16.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.10 — ქართული მუსიკა — 50, 17.55 — დოკუმენტური კინო ბრალს სდებს, 18.35 — აბიტურიენტი — 71, 19.15 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა — „მსოფლიო დღეს“, 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — (გადმოცემა კიევიდან) შესვლების დროს და 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — ევროპის ჩემპიონატი კრივ